

**საინფორმაციო საკონსულტაციო  
სნობარი რევირებისტვის**

**ქვემო ქართვი**



საინფორმაციო—საკონსულტაციო ცნობარი დევირებისთვის მომზადებული და გამოცემულია სამოქალაქო განვითარების სააგენტოს (CiDA) მიერ.

გამოცემა მომზადებულია პროექტის „იძულებით გადაადგილებული პირების სოციო—ეკონომიკური ინტეგრაციის ხელშეწყობა ქვემო ქართლის რეგიონში“, რომელიც „ევროკავშირის“ (EU) მიერაა დაფინანსებული და ხორციელდება პარტნიორი ორგანიზაციების: „მოძრაობა შიმშილის წინააღმდეგ“ (ACF), „სახალხო უნივერსიტეტი გერმანული ასოციაციის საერთაშორისო თანამშრომლობის ინსტიტუტისა“ (dvv international) და „სამოქალაქო განვითარების სააგენტოს“ (CiDA) მიერ.

# სარჩევი

## I ნაწილი

ქვემო ქართლში სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ განხორციელებული პროგრამები:

### 1.1 სახელმწიფო პროგრამები:

- საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს ქვემო ქართლის, მცხეთა-მთიანეთისა და კახეთის სამმართველო.
- სოციალური მომსახურების სააგენტო.
- თვითმმართველი ქალაქი რუსთავის მერია.
- ბოლნისის მუნიციპალიტეტის გამგეობა.
- მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულო.

### 1.2 არასამთავრობო ორგანიზაციების პროექტები:

- სამოქალაქო განვითარების სააგენტო (CiDA)
- საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია.
- სიქა - საგანმანათლებლო ინიციატივების ქართული ასოციაცია.
- მარნეულის ახალგაზრდული ცენტრი

### 1.3 პროფესიული სწავლების პროექტები:

რუსთავის პროფესიული სწავლების ცენტრი „იმედი“

### 1.4 საერთაშორისო ორგანიზაციების პროექტები:

- „იძულებით გადაადგილებული პირების სოციო-ეკონომიკური ინტეგრაციის ხელშეწყობა ქვემო ქართლის რეგიონში“
- „სათემო ცენტრები კონფლიქტით დაზარალებული თემებისათვის საქართველოში“

## II ნაწილი

იურისტის რჩევები

## III ნაწილი

ფსიქოლოგის რჩევები

## IV ნაწილი

ქვემო ქართლში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციების მონაცემები

## V ნაწილი

ქვემო ქართლის რეგიონში ორგანიზებულ სექტორში რეგისტრირებულ დევნილთა სტატისტიკური მონაცემები

## VI ნაწილი

ქვემო ქართლის რეგიონში ორგანიზებულ სექტორში მცხოვრებ დევნილთა განსახლების რუქა მუნიციპალიტეტების მიხედვით

# I ნაწილი

## 1.1 სახეივნო პროგრამები:

**საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს ქვემო ქართლის, მცხეთა-მთიანეთისა და კახეთის სამმართველო**

დევნილთა რეგისტრაცია და აღრიცხვა ქვემო ქართლის მასშტაბით ხორციელდება საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს ქვემო ქართლის მცხეთა-მთიანეთისა და კახეთის სამმართველოში. აღნიშნული სამსახურის მეშვეობით, სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ შენობა-ნაგებობებში მცხოვრებ თითოეულ დევნილს უფლება აქვს, მიიღოს ინფორმაცია, თუ როდის მოხდება მათი ორგანიზებულ სექტორში გადაყვანა და მათ სარგებლობაში არსებული საცხოვრებელი ფართების საკუთრებაში გადაცემა. ქ. რუსთავში 199 ოჯახს საცხოვრებელი ფართები უკვე რეგისტრირებული აქვს საჯარო რეესტრში. ქ. რუსთავში ორგანიზებულ სექტორში ჩასახლებულ დევნილებს, ყოველთვიურად, სულზე ერიცხებათ 12,98 ლარი დენის გადასახადზე, წყალსა და კანალიზაციის გადასახადზე ერთ სულზე 2,30 ლარი. 2008 წლის აგვისტოს ომის შედეგად დაზარალებულ ოჯახებში განსახლებულ დევნილებს ოჯახზე ერიცხებათ გაზის გადასახადის დანამატი 70 ლარის ოდენობით, ხოლო კოტეჯებში მცხოვრებ ამ კატეგორიის დევნილებს, ერიცხებათ გაზის გადასახადის დანამატი 100 ლარის ოდენობით.

**საკონტაქტო ინფორმაცია:**

**საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს ქვემო ქართლის, მცხეთა-მთიანეთისა და კახეთის სამმართველო:**

**უფროსი: დავით ჭყონია**

**ტელ: (824) 12 04 44**

**მის: ქ. რუსთავი, ვახუშტის ქ. №8**

**სოციალური მომსახურების სააგენტო**

სოციალური მომსახურების სააგენტო ახორციელებს სოციალურ პროგრამებს, როგორც დევნილთათვის, ასევე საქართველოში მცხოვრები ნებისმიერი მოქალაქისათვის.

სოციალურ პროგრამაში იგულისხმება სოციალურად დაუცველთა ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრაცია (რაც 2010 წლის 01 ივნისიდან ახალი წესებით რეგულირდება), პენსიის დანიშვნა სტაჟისა და ნამსახურების მიხედვით. ასევე, ახორციელებს შეზღუდული შესაძლებლობების პირთა დამხმარე საშუალებებით უზრუნველყოფას.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ნებისმიერი სტატუსის მქონე პირები, სამედიცინო ცნობის საფუძველზე, განცხადებით მიმართავენ სოციალურ სამსახურს, რათა დააკმაყოფილონ მათთვის საჭირო დამხმარე საშუალებებით. სოციალური სამსახური განიხილავს თითოეულ განცხადებას, მოქალაქეები დგებიან აღრიცხვაზე და რიგითობით ხდება თითოეულის დაკმაყოფილება.

საქართველოს მთავრობის 2007 წლის №181 დადგენილებით, იძულებით დევნილი, რომელსაც არ გააჩნია შრომის წიგნაკი, 2007 წლის 1 სექტემბრის მდგომარეობით, ასაკის გამო დანიშნულ პენსიაზე სახელმწიფო ავტომატურად უმატებს პენსიის დანამატს, რომელიც განისაზღვრება შემდეგი წესით:

1. დევნილი მამაკაცებისათვის:	2. დევნილი ქალებისათვის:
ა) 65-დან 67 წლამდე — 2 ლარი.	ა) 60-დან 62 წლამდე — 2 ლარი
ბ) 67-დან 69 წლამდე — 4 ლარი.	ბ) 62-დან 64 წლამდე — 4 ლარი
გ) 69-დან 71 წლამდე — 7 ლარი	გ) 64-დან 66 წლამდე — 7 ლარი
დ) 71 წლიდან ზევით — 10 ლარი	დ) 66 წლიდან ზევით — 10 ლარი

### დაზღვევის პროგრამა

თითოეული მოქალაქე, იქნება ეს დევნილი თუ რიგითი მოქალაქე, რომელიც რეგისტრირებულია სიღარიბის პროგრამაში და რომელთა ქულათა საერთო რაოდენობა არ აღემატება 70000, ისინი ავტომატურად რეგისტრირდებიან ქ. რუსთავში მოქმედ სადაზღვევო კომპანია „ირაო“—ში. სახელმწიფომ სოციალურად დაუცველი მოქალაქეების სამედიცინო მომსახურება აღნიშნული სადაზღვევო კომპანიის საშუალებით უზრუნველყო. სახელმწიფო ცენტრალური ბიუჯეტიდან ყოველთვიურად რიცხავს თითოეული მოქალაქისათვის განერილ დაზღვევის თანხას. სადაზღვევო კომპანია საკმაოდ სრულყოფილ მომსახურების პაკეტს სთავაზობს სოციალურად დაუცველ მოქალაქეებს, რომლებიც სარგებლობენ სადაზღვევო პოლისით, რაც გულისხმობს:

- ა) გადაუდებელ ოპერაციას სრული დაფინანსებით.
- ბ) სტაციონალურ მკურნალობას სრული დაფინანსებით.
- გ) ექიმის უფასო კონსულტაციას.
- დ) მედიკამენტებით უზრუნველყოფას 80% ფასდაკლებით.
- ე) სტომატოლოგიურ მომსახურებას.
- ვ) მშობიარობის დაფინანსებას სრულად.

## თვითმმართველი ქალაქი რუსთავის მერია

1. ქალაქ რუსთავში რეგისტრირებულ დევნილ ოჯახთა ბავშვები 100%-ით გათავისუფლებული არიან ბალის გადასახადისაგან.
2. რუსთავში რეგისტრირებულ დევნილთათვის პროგრამა “იძულებით გადაადგილებულ პირთა დაკრძალვის ხარჯი”- ს ფარგლებში, გათვალისწინებულია სარიტუალო თანხა 100 ლარის ოდენობით.
3. “მინიმალური სასურსათო პროგრამა” — დევნილთა ოჯახებს, მათი მატერიალური მდგომარეობის გათვალისწინებით, გადაეცემათ კვების ტალონები, რომელიც გამოიყენება სახელმწიფოს მიერ შექმნილ უფასო სასადილოებში;
4. “სოციალურად დაუცველი მოქალაქეების ინდივიდუალური დახმარების პროგრამა” (კომუნალურ გადასახადებზე ერთჯერადი შეღავათი), რაც გულისხმობს გაზზე, დენზე, წყალსა და კანალიზაციაზე ერთჯერად ფულად დახმარებას ინდივიდუალურად მიმართვიანობის საფუძველზე. ფულადი დახმარება გაცემა 100 ლარის ფარგლებში.
5. “მედიკამენტებით დახმარების პროგრამა”, რომელიც ხორციელდება ინდივიდუალურად მიმართვიანობის საფუძველზე, გულისხმობს სოციალურად დაუცველ დევნილებზე ფულადი დახმარების 100 ლარის ფარგლებში გაცემას.

## ბოლნისის მუნიციპალიტეტის გამგეობა:

1. მოსახლეობის სამედიცინო უზრუნველყოფა

ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილია თანხები შემდეგი კატეგორიის ბოლნისის მუნიციპალიტეტის მცხოვრებლებისთვის სამედიცინო უზრუნველყოფად: სოციალურად დაუცველი პირები, რომელთა სარეიტინგო კატეგორია 10000 ქულაზე ნაკლებია და არ აქვთ სადაზღვევო პოლისი და მათი ოჯახის ორსული წევრები, იძულებით გადაადგილებული პირები და მათი ოჯახის ორსული წევრები, ომისა და სამხედრო ძალების მონაწილეები და მათთან გათანაბრებული პირები, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ონკოლოგიური ავადმყოფი, ობოლი არასრულწლოვანი ბავშვები, ფსორიოზით დაავადებული პირები, ლეიშმანიოზით დაავადებული ბავშვები. ზემოაღნიშნული მოქალაქეები, ერთჯერადად მიმართვიანობის გზით, ფინანსდებიან ადგილობრივი ბიუჯეტიდან. კერძოდ: 300 ლარამდე ხდება მთლიანი დაფინანსება, ხოლო 300 ლარის ზემოთ, ნებისმიერი სამედიცინო უზრუნველყოფა ხორციელდება მთლიანი თანხის 70%, მაგრამ თანხა არ უნდა აღემატებოდეს 700 ლარს.

2. სარიტუალო თანხებით უზრუნველყოფა

მუნიციპალიტეტში მცხოვრები ვეტერანების, იძულებით გადაადგილებული პირების და მარტოხელა უპატრონო მოქალაქეებისათვის გამოყოფილია ფულადი დახმარება 250 ლარის ოდენობით.

### 3. კომუნალური და საყოფაცხოვრებო პრობლემების მოგვარება

მუნიციპალიტეტში მცხოვრები იძულებით გადაადგილებული პირებისთვის გამგეობა ითვალისწინებს კომუნალურ და საყოფაცხოვრებო პრობლემებს. ამ კატეგორიის მოქალაქეები ერთჯერადად მიმართვიანობის გზით, იღებენ ფულად დახმარებას კომუნალური და საყოფაცხოვრებო პრობლემების მოსაგვარებლად.

### 4. მუნიციპალური ტრანსპორტით მომსახურების უზრუნველყოფა

მუნიციპალიტეტში მცხოვრები პედაგოგები და იძულებით გადაადგილებული პირები უფასოდ და მუნიციპალიტეტის მოსახლეობა 50%-ით უზრუნველყოფილია მუნიციპალური ტრანსპორტის მომსახურებით.

### 5. სასმელი წყლით უზრუნველყოფა

მუნიციპალიტეტში მცხოვრები იძულებით გადაადგილებული პირები და სოციალურად დაუცველი მოსახლეობა, რომელთა სარეიტინგო ქულა 70000-ზე ნაკლებია, გათავისუფლებულები არიან სასმელი წყლის გადასახადისაგან.

## მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობა:

### 1. ხანდაზმულთა სოციალური დაცვა

მარნეულის რაიონში მცხოვრები ნებისმიერი მოქალაქე, რომელსაც შეუსრულდა 100 წელი ან 100 წელზე მეტი ასაკისაა, რაიონის მუნიციპალიტეტისაგან საჩუქრდება 100 ლარით.

2. გარდაცვლილი მეორე მსოფლიო ომის მონაწილეების ოჯახებისათვის გათვალისწინებულია ერთჯერადი ფინანსური დახმარება 250 ლარის ოდენობით.

3. გარდაცვლილ დეენილთა ოჯახებისათვის ერთჯერადი ფინანსური დახმარება გაიცემა 250 ლარის ოდენობით.

### 4. ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა

მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ იძულებით გადაადგილებულ პირთა შობადობის შემთხვევაში, ახალშობილის დასაჩუქრება ხდება მარნეულის მუნიციპალიტეტის მიერ 200 ლარის ოდენობით.

უმწეო მდგომარეობაში მყოფ მოქალაქეებს რაიონის მუნიციპალიტეტი უფასო სასადილოების მომსახურებით უზრუნველყოფს.

ოჯახებს, რომელთაც მინიჭებული აქვთ არაუმეტეს 120 000 ქულისა, გაენწევათ ფულადი დახმარება საოპერაციოდ და წამლების შესაძენად, ანგარიშვაქტურის წარდგენის შემთხვევაში, გადარიცხვით. გადარიცხვა მოხდება მოთხოვნილი თანხის 60%—ით, მაგრამ არაუმეტეს, 600 ლარისა.

## **არასამთავრობო ორგანიზაციების პროექტები:**

### **1. სამოქალაქო განვითარების სააგენტო (CiDA)**

CiDA არის რეგიონული არასამთავრობო ორგანიზაცია, რომლის ერთ—ერთი სტრატეგიული მიმართულებაა დევნილთა სოციალურ—ეკონომიკური ინტეგრაციის მხარდაჭერა. ამ მიმართულებით ორი პროექტი ხორციელდება:

1. რუსთავში დაფუძნდა არაფორმალური განათლების ცენტრი პროექტის «იძულებით გადაადგილებული პირების სოციო-ეკონომიკური ინტეგრაციის ხელშეწყობა ქვემო ქართლის რეგიონში» ფარგლებში, რომელიც ევროკავშირის (EU) მიერაა დაფინანსებული და ხორციელდება პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად: მოძრაობა შიმშილის წინააღმდეგ (ACF) და სახალხო უნივერსიტეტთა გერმანული ასოციაციის საერთაშორისო თანამშრომლობის ინსტიტუტისა (DVV International).

რუსთავის არაფორმალური განათლების ცენტრის დანიშნულებაა, ხელი შეუწყოს რუსთავში ჩასახლებული იძულებით გადაადგილებული პირების არაფორმალურ განათლებასა და საზოგადოებაში მათ ინტეგრაციას. ამ მიზნით, რუსთავში მცხოვრებ დევნილებსა და რუსთავში მცხოვრებ ადგილობრივ მოსახლეობას შესაძლებლობა აქვთ, არაფორმალური განათლების საშუალებით, აიმაღლონ საკუთარი კვალიფიკაცია, დაეუფლონ ახალ პროფესიებს, მიიღონ სხვადასხვა სახის სამართლებრივი და ფსიქო-სოციალური სახის კონსულტაცია. 2010 წლის ბოლომდე სულ 400 ადამიანი გაივლის გადამზადება ხორციელდება შემდეგ პროფესიებში:

- კომპიუტერი
- ბუღალტერია
- მცირე ბიზნესის მართვა
- მდივან-რეფერენტი
- უცხო ენები
- ხელსაქმე: თეკა, მინანქარი, სტილისტი, დეკორატიული ხელოვნება

ამავე პროექტის ფარგლებში, შეიქმნა ინტეგრაციის ახალგაზრდული კლუბი, სადაც 60—მდე დევნილი და ადგილობრივი ახალგაზრდაა გაერთიანებული. ახალგაზრდები ეუფლებიან დებატების ხელოვნებას, ხვდებიან საინტერესო სტუმრებს, მონაწილეობას ლებულობენ სპორტულ და კულტურულ ღონისძიებებში, წერენ სტატიებს სხვადასხვა თემებზე, რომელთა განთავსება ხდება პროექტის ფარგლებში შექმნილ ინტერნეტ-გვერდზე, მისამართზე: [www.youthclub.ge](http://www.youthclub.ge).

2. “იძულებით გადაადგილებულ პირთა ცხოვრების სტაბილიზაციისა და მათი საზოგადოებაში ინტეგრირების პროექტი” ხორციელდება ნორვეგიის მთავრობის საგარეო საქმეთა სამინისტროს დაფინანსებით ქეა ნორვეგიისა და ქეა საერთაშორისო კავკასიაში მიერ. პროექტის განმახორციელებელი პარტნიორია სამოქალაქო განვითარების სააგენტო (CiDA).

პროექტი ქვემო ქართლისა და შიდა ქართლის 20-მდე კომპაქტურ ცენტრში ხორციელდება.

## პროექტი მოიცავს 5 კომპონენტს:

1. შემოსავლების გენერირება:
  - მექანიზატორთა ჯგუფების მხარდაჭერა
  - მცირე ბიზნეს-გრანტები დევნილი ქალებისთვის
  - არსებული ბიზნესის გაფართოება დევნილთა დასაქმების მიზნით
2. ინფრასტრუქტურის განვითარება
3. სამოქალაქო საზოგადოების განვითარება
4. ბავშვებისა და ახალგაზრდების მდგრადი განვითარება
5. ადგილობრივი მმართველობის გაძლიერება

### საკონტაქტო ინფორმაცია:

ზვიად დევდარიანი  
დირექტორი

მისამართი: ქ. რუსთავი, ფიროსმანის ქ. № 9/1  
ტელ: (824) 15 88 22; 14 24 34

Info@cida.ge  
www.cida.ge

## 2. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის რუსთავის ოფისი

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის რუსთავის ოფისი დაარსდა 1995 წლიდან და დღემდე აგრძელებს ქვემო ქართლის მასშტაბით შემდეგ საქმიანობებს:

სოციალურად დაუცველ ფენებსა და იძულებით გადაადგილებულ პირებს უწევს კონსულტაციებს, ეხმარება განცხადებების, საჩივრებისა და სარჩელების მომზადებაში. ახორციელებს წარმომადგენლობას სასამართლოს ნებისმიერ ინსტანციაში.

ენევა გავლით კონსულტაციებს ქვემო ქართლის რეგიონში, სადაც ხვდება როგორც ქართულენოვან, ისე არაქართულენოვან მოსახლეობას. უწევს იურიდიულ კონსულტაციებს, ადგილზე სწავლობს თითოეულის პრობლემას და, საჭიროებისამებრ, ახორციელებს სასამართლოს ყველა ინსტანციაში მათი უფლებების დაცვას.

ეს მომსახურება უფასოა.

### საკონტაქტო ინფორმაცია:

ხელმძღვანელი: ეკატერინე ფავლენიშვილი

მისამართი: ქ. რუსთავი, კოსტავას № 15ა-5

ტელ: (824) 15-53-37; ფაქსი: (824) 14 05 66

www.gyla.ge

### 3. სიქა-საგანამანათლებლო ინიციატივების ქართული ასოციაცია

სიქა დაარსდა 1999 წელს, სხვადასხვა ორგანიზაციებისა და პროგრამების ფარგლებში მომზადებული მწვრთნელების მიერ, როგორც რუსთავის მშობელთა და მასწავლებელთა ასოციაცია.

სიქა ახორციელებს შემდეგ საქმიანობას: ატარებს და ორგანიზებას უკეთებს ტრენინგებს, სემინარებს, კონსულტაციებს, კონფერენციებს, სამუშაო შეხვედრებს; ეწევა საგანმომცემლო საქმიანობას; აწყობს მასობრივ და საქველმოქმედო ღონისძიებებს;

2010 წ. აპრილი — „ახალგაზრდების პიროვნული განვითარების კურსი“ — პროექტის ტრენინგ-კურსის სამიზნე ჯგუფი იყო რუსთავის ახალგაზრდობა (მათ შორის, დევნილები), რომელთაც ტრენინგის განმავლობაში აიმაღლეს უნარები ანალიტიკურ აზროვნებაში, დამოუკიდებლად სწავლის უნარი, მენარშეობა, კომუნიკაციის უნარი და სხვა.

2010 წ. აპრილი— ივნისი, განხორციელდა პროექტი „ერთად, საერთო რეალობაში“. პროექტის მიზანია, გარდაბანში მცხოვრები დევნილი ახალგაზრდების ინტეგრაციისა და სამოქალაქო ჩართულობის ხელშეწყობა ადგილობრივ თანატოლებთან დაახლოებისა და მათთვის ახალი უნარ-ჩვევების შექმნის გზით. პროექტში ჩართულია გარდაბნის 40 მოსწავლე, მათ შორის: 14 დევნილი, 13 ადგილობრივი ქართველი და 13 აზერბაიჯანელი მოსწავლე და ერთი დევნილი პედაგოგი.

პროექტი მხარდაჭერილია „იძულებით გადაადგილებულ პირთა ცხოვრების სტაბილიზაციისა და მათი საზოგადოებაში ინტეგრირების პროექტის“ (SIIMS), ფარგლებში, რომელსაც ნორვეგიის მთავრობის საგარეო საქმეთა სამინისტროს დაფინანსებით ახორციელებენ ქვა ნორვეგია, ქვა საერთაშორისო კავკასიაში. ადგილობრივი განმახორციელებელი პარტნიორია — სამოქალაქო განვითარების სააგენტო (CiDA).

#### საკონტაქტო ინფორმაცია:

ცირა თავშავიძე

მისამართი:

ქ. რუსთავი, მეგობრობის გამზ. 12/56

ტელ: 15 13 58; 12 20 45

ელ-ფოსტა: [ngo.siqa@gmail.com](mailto:ngo.siqa@gmail.com), [info.siqa@gmail.com](mailto:info.siqa@gmail.com)

ვებ. გვერდი: [www.siqa.org.ge](http://www.siqa.org.ge)

## 4. მარნეულის ახალგაზრდული ცენტრი

World Vision საქართველოს წარმომადგენლობამ, ევროკავშირის დაფინანსებით, დაარსა ახალგაზრდული ცენტრების კავშირი საქართველოში (ABNM), არასამთავრო ორგანიზაცია, რომელმაც რეგისტრაცია 2007 წლის 4 აპრილს გაიარა, აერთიანებს ოთხ ცენტრს ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში, ერთ-ერთი მარნეულშია. ამჟამად, მარნეულის ახალგაზრდული ცენტრი ახორციელებს პროექტს - „მყარი კომუნიკაცია ეფექტური ინტეგრაციისთვის“, რომელიც ითვალისწინებს მარნეულის მუნიციპალიტეტში დევნილი და ადგილობრივი ახალგაზრდების ინტეგრაციას.

პროექტი დევნილი და ადგილობრივი (მათ შორის, ეროვნული უმცირესობები) ახალგაზრდებისთვის ითვალისწინებს: სპორტულ და ინტელექტუალურ პროგრამებს, შეხვედრებს, დებატებს, ექსკურსიებს.

პროექტი მხარდაჭერილია „იძულებით გადაადგილებულ პირთა ცხოვრების სტაბილიზაციისა და მათი საზოგადოებაში ინტეგრირების პროექტის“ (SIIMS), ფარგლებში, რომელსაც ნორვეგიის მთავრობის საგარეო საქმეთა სამინისტროს დაფინანსებით ახორციელებენ ქეა ნორვეგია, ქეა საერთაშორისო კავკასიაში. ადგილობრივი განმახორციელებელი პარტნიორი — სამოქალაქო განვითარების სააგენტო (CiDA).

### საკონტაქტო ინფორმაცია:

ზაურ დარგალი

მისამართი:

გარდაბანი, ერეკლე ქ. № 6

ტელ: 855 20 67 44

ელ—ფოსტა: zaurdargalli@yahoo.com

## **პროფესიონალი სასწავლებლის პროექტები:**

### **რუსთავის პროფესიული სწავლების ცენტრი „იმედი“**

დაფუძნდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 15.11.07 №1114 ბრძანების საფუძველზე. მისი მიზანია, წარმოების თანამედროვე აღჭურვილობისა და ტექნიკის შესაბამისად, მათი განვითარების პერსპექტივის გათვალისწინებით, ფორმალური საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელება და კვალიფიციური, სერტიფიცირებული სპეციალისტების მომზადება.

ცენტრის ძირითადი მომხმარებლები არიან საბაზო და საშუალო განათლების მქონე ახალგაზრდები, დაბალ კონკურენტუნარიანი სხვადასხვა პროფესიის ზრდასრული მოსახლეობა და დროებით უმუშევრები.

2009—2010 სასწავლო წლისათვის განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში შესათანხმებლად დამატებით წარდგენილია შემდეგი პროგრამები: გზის მშენებელი, შავი და ფერადი ლითონების სამსხმელო წარმოების მეყალიბე, ელექტრო-აირშემდუღებელი, სამღებრო საქმე, კერამიკის დამამზადებელი, კვების პროდუქტების ანალიზის ლაბორანტი, მედლა.

2008—2009 სასწავლო წელს სტილისტების ჯგუფმა აქტიური მონაწილეობა მიიღო მერიისა და საკრებულოს მიერ ორგანიზებულ, სოფელ კოდაში დევნილი მოსახლეობისათვის მონყობილ საქველმოქმედო აქციაში. ასევე, სისტემატური ხასიათი ჰქონდა მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა სახლის აღსაზრდელებისა და აღმზრდელების, მოხუცებულთა სახლის “ქსენონი” და ყოფილ მე-13 ბაღში მყოფი დევნილების მომსახურებას.

#### **საკონტაქტო ინფორმაცია:**

მისამართი: ქ. რუსთავი, გაგარინის № 2ა

ტელ: 8 (24) 19 29 92

info@imedi.vet.ge

## **საერთაშორისო ორგანიზაციების პროექტები:**

### **1. „იძულებით გადაადგილებული პირების სოციო-ეკონომიკური ინტეგრაციის ხელშეწყობა ქვემო ქართლის რეგიონში“**

პროექტის მიზანია, ხელი შეუწყოს ქვემო ქართლის რეგიონში განსახლებული იძულებით გადაადგილებული პირების (დევენილების და ეკომიგრანტების) სოციო-ეკონომიკურ ინტეგრაციას ახალ თემებში. ამ მიზნის მისაღწევად, მათი ახალი კოლექტიური განსახლების ადგილებში (კოდა, შაუმიანი, ქვემო ბოლნისი, ხიხანი, რუსთავი) ხორციელდება თემის ინფრასტრუქტურის განვითარებაზე, სოფლის მეურნეობის მხარდაჭერაზე, მმართველობის გაუმჯობესებაზე, თემის წევრების დამატებით განათლებაზე და მათ შესაძლებლობათა ზრდაზე ორიენტირებული ღონისძიებები.

პროექტის მთავარ სამიზნე ჯგუფს შეადგენენ აღნიშნულ სოფლებში ჩასახლებული იძულებით გადაადგილებული პირები და ადგილობრივი თემის წარმომადგენლები. პროექტის ბენეფიციართა შორის იქნებიან ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებიც.

პროექტის ფარგლებში, მოძრაობა შიმშილის წინააღმდეგ (ACF) კოდის, შაუმიანის, ქვემო ბოლნისისა და ხიხანის თემებში, ადგილობრივ მოსახლეობასთან (თემის განვითარების ჯგუფებთან) მჭიდრო თანამშრომლობით, ახორციელებს სხვადასხვა ინფრასტრუქტურულ პროექტებს და სოფლის მეურნეობის მხარდაჭერის პროგრამას.

გერმანულმა DVV International-მა, თეთრიწყაროსა და მარნეულის მუნიციპალიტეტებთან თანამშრომლობით, კოდასა და შაუმიანში დააფუძნა სათემო განათლების ცენტრები. აღნიშნულ ცენტრებში ადგილობრივ და იძულებით გადაადგილებულ მოქალაქეებს (ნებისმიერი ასაკის) შეუძლიათ სხვადასხვა უფასო საგანმანათლებლო და საკონსულტაციო მომსახურების მიღება: კომპიუტერის, ენების, პროფესიული მომზადებისა (სახელობო) და პიროვნული განვითარების კურსების გავლა; კონსულტაციების მიღება სამართლებრივ და სოციალურ საკითხებზე; ახალგაზრდულ პროგრამაში მონაწილეობა და სხვა.

CiDA განახორციელებს ანალოგიურ საქმიანობას თვითმმართველ ქალაქ რუსთავში.

«იძულებით გადაადგილებული პირების სოციო-ეკონომიკური ინტეგრაციის ხელშეწყობა ქვემო ქართლის რეგიონში» ფარგლებში, მხარდაჭერილია ევროკავშირის (EU) მიერ და ხორციელდება პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად: მოძრაობა შიმშილის წინააღმდეგ (ACF) და სახალხო უნივერსიტეტთა გერმანული ასოციაციის საერთაშორისო თანამშრომლობის ინსტიტუტისა (DVV International) და სამოქალაქო განვითარების სააგენტო (CiDA).

#### **საკონტაქტო ინფორმაცია:**

თინათინ დკანოსიძე  
კოორდინატორი

მისამართი: ქ. რუსთავი, ფიროსმანის ქ. № 9/1  
ტელ: (824) 15 88 22; 14 24 34

Info@cida.ge

www.cida.ge

## 2. „სათემო ცენტრები კონფლიქტით დაზარალებული თემებისათვის საქართველოში“

დევნილთა ადგილობრივ თემებში სოციალურ-ეკონომიკური ინტეგრაციის ხელშეწყობის მიზნით, შეიქმნა სათემო ცენტრი გარდაბანში, სადაც დევნილებს და ადგილობრივ მოსახლეობას შესთავაზებენ მომსახურებების ფართო სპექტრს. მათ შორის, ტრენინგებს (თემის წევრებისთვის, ადგილობრივი მმართველებისთვის და მომსახურების ადგილობრივი მიმწოდებლებისთვის), თემის მობილიზებას და თანამონაწილეობის პროცესით შერჩეული პროექტების დაფინანსებას.

სათემო ცენტრები ატარებენ კულტურულ-გასართობ ღონისძიებებს, ეხმარებიან დევნილებს საინფორმაციო ტექნოლოგიებზე ხელმისაწვდომობაში. შეიქმნა ფორუმები აზრთა გაზიარებისათვის მოსახლეობის დევნილ და არადევნილ ჯგუფებს შორის.

უფრო ზუსტად, სათემო ცენტრები უზრუნველყოფენ შემდეგ მომსახურებებს:

- კომპიუტერული კურსები
- ინტერნეტ-კაფე
- ცეკვის წრე
- ხელოვნების წრე
- სათემო კინოთეატრი
- ახალგაზრდული კლუბები.
- ბავშვთა გამოფენები და კონცერტები.
- ტრენინგები ადგილობრივი მუნიციპალიტეტების წარმომადგენლების, ხელმძღვანელი პირებისა და მომსახურების მიმწოდებლებისათვის.
- პროგრამის მსვლელობისას თითოეულ თემში დაფინანსდება 3-5 პროექტი.

პროექტის ხანგრძლივობა არის 18 თვე. პროექტს ეყოლება 13 600 პირდაპირი ბენეფიციარი, 3400 - თითოეულ სათემო ცენტრში. პროექტს ეყოლება 3100 ბავშვი ბენეფიციარი.

პროექტს ახორციელებს ფედერაცია „გადავარჩინოთ ბავშვები“ პარტნიორ ორგანიზაციასთან საქველმოქმედო—ჰუმანიტარული ცენტრი „აფხაზეთი“ (CHCA) ერთად.

### საკონტაქტო ინფორმაცია:

მალხაზ ლატარია

საქველმოქმედო ჰუმანიტარული ცენტრი „აფხაზეთი“

ქ. გარდაბანი, ლესელიძის ქ. №6, ბ. №5

ტელ: (8272) 2-20-88

ელ. ფოსტა: [makho.lataria@gmail.com](mailto:makho.lataria@gmail.com)

ვებ გვერდი: <http://ccig.org.ge>

## II ნაწილი

### **იურიდიული რჩევები:**

- **ვარ რევირი, მუსრს, რამენიშნოს პენსია სტაჟისა და ნამსახურების მიხედვით, მაგრამ არ მაქვს შრომის წიგნაჟი. როგორ მოვუქცე?**

უპირველეს ყოვლისა, აღნიშნულთან დაკავშირებით უნდა მიმართოთ სოციალური მომსახურების ცენტრს. იმ შემთხვევაში, თუ სოციალური მომსახურების ცენტრმა უარი გითხრათ სტაჟისა და ნამსახურების მიხედვით პენსიის დანიშვნაზე, მაშინ უნდა მიმართოთ აფხაზეთის მთავრობას განცხადებით, ხომ არ მოეპოვებათ ინფორმაცია იმ ორგანიზაციის შესახებ, სადაც თქვენ მუშაობდით. თუ აღნიშნულმა სამსახურმაც წერილობითი უარი განაცხადა ინფორმაციის არარსებობის გამო, მაშინ ადმინისტრაციული სარჩელით მიმართავთ აფხაზეთის სასამართლოს და თქვენი შრომის სტაჟი სასამართლო გადაწყვეტილებით დაადგინდება.

- **ვის უნდა მივმართო, თუ სამკვიდროს მიღების კანონით რა რევირი ვაპაზი ვერ მივიღე მეკვიდრობა?**

იმ შემთხვევაში, თუ ვერ მიიღეთ სამკვიდრო კანონით დადგენილ ექვსთვიან ვადაში, უნდა მიმართოთ სანოტარო ბიუროს სამკვიდროს მიღებაზე ფაქტობრივი ფლობით, თუ სანოტარო ბიურო უარს გეტყვით სამკვიდროს მიღებაზე ფაქტობრივი ფლობით, მაშინ თქვენ უნდა მიმართოთ იმ სასამართლოს, სადაც მდებარეობს სამკვიდრო ან იმ სასამართლოს, სადაც ხართ რეგისტრირებული. სასამართლოზე უნდა დაადასტუროთ, რომ სამკვიდროს მიღების ვადა საპატიო მიზეზით გაუშვით და მოითხოვოთ სამკვიდროს მიღების ვადის გაგრძელება.

- **ჩემსხელთარსებურ ბინის ორქერში შეკრომით არის რაფიქსირებული ჩემი სახელი, რის გამოც, ვერ ვახოტყიერებ ბინის პრივატისაზაკას. ვის მივმართო?**

თუ თქვენს ხელთ არსებულ საკუთრების უფლების მქონე დოკუმენტში (ბინის ორქერში) მოხსენიებული თქვენი სახელი არ ემთხვევა თქვენსხელთარსებულ სხვა დოკუმენტში არსებულ სახელს, მაშინ უნდა მიმართოთ ადგილობრივ თვითმმართველობის ორგანოს - მერიას, გამგეობას შესწორება შეიტანოს თქვენსხელთარსებულ საკუთრების უფლების დამადასტურებელ დოკუმენტში შეცდომით დაფიქსირებულ თქვენს სახელში. თუ შესაბამისი ორგანო უარს იტყვის შესწორების შეტანაზე, მაშინ თქვენ უნდა მიმართოთ სასამართლოს და მოითხოვოთ იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის-კუთვნილების ფაქტის დადგენა, რომ საკუთრების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი ნამდვილად თქვენ გეკუთვნით.

- ვარ აფხაზეთიდან რევნირი. შესაბამისად, ხელთ მქვს აფხაზეთში გაკეპული ქორწინების მონაშობა, რომელიც საქართველოში ვერ ვიყენებ. როგორ მოვიქცე?

ვინაიდან, აფხაზეთში არ ვრცელდება საქართველოს იურისდიქცია და საქართველოში არც არსებობს აფხაზეთის არქივი, ამიტომ თითოეულმა დევნილმა ქორწინების რეგისტრაციის ფაქტის დასადაგენად, განცხადებით უნდა მიმართოს იმ ქალაქის ან რაიონის სასამართლოს, სადაც რეგისტრირებულია იძულებით გადაადგილებული პირის—დევნილის მონაშობით. განცხადებას თან უნდა ერთვოდეს:

- ა) პირადობის მონაშობა (ასლი)
- ბ) დაბადების მონაშობა (ასლი)
- გ) დევნილის მონაშობა (ასლი)
- დ) ქორწინების მონაშობა (ასლი)
- ე) პირადობის მონაშობა (ასლი)

საქართველოს კანონმდებლობით, იმ შემთხვევაში, თუ სასამართლოს მიმართავს იძულებით გადაადგილებული პირი—დევნილი, მაშინ თავისუფლდება ნებისმიერი სასამართლო ხარჯისაგან.

- ჩემს 78 წლის ქვას, რომელიც არის რევნირი, აღმოჩნდა, რომ დაბადების მონაშობა ცხინვალში აქვს აკრეფული, როცა პრეზიდენტმა ექმნება პენსიის მიღებაზე. როგორ უნდა მოვიქცე და ვის უნდა მიმართოს?

ვინაიდან, ცხინვალის ტერიტორიაზე, დღეის მდგომარეობით, არ ვრცელდება საქართველოს იურისდიქცია, ამიტომ ცხინვალში გაცემული დაბადების მონაშობა ძალადაკარგულად ითვლება საქართველოში. ამასთან, საქართველოში არ არის გადმოტანილი ცხინვალის არქივი, სწორედ ამ საფუძველით, მოქალაქემ განცხადებით უნდა მიმართოს იმ ქალაქის ან რაიონის სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს, სადაც რეგისტრირებულია დევნილის მონაშობით და მოითხოვოს დაბადების რეგისტრაციის ფაქტის დადაგენა. განცხადებას თან უნდა ერთვოდეს შემდეგი დოკუმენტები:

- ა) პირადობის მონაშობა (ასლი)
- ბ) ქორწინების მონაშობა (ასლი)
- გ) შრომის წიგნაკი (ასლი)
- დ) დევნილის მონაშობა (ასლი)
- ე) ორი მონაშობის პირადობის მონაშობა (ასლი)

კანონით დადგენილი ერთიანი ვადის გასვლის შემდგომ, ჩატარდება ადმინისტრაციული წარმოება და დადგინდება პირის იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის—დაბადების ფაქტის რეგისტრაცია, რომლის შემდგომაც გაიცემა დაბადების მონაშობა.

### III ნანილი

#### ფსიქოლოგიის რჩევები

- **გამეხმარეთ, მგონი, ეკპრესიაში ვარ. რიხხანს ვერ ვხვდები, რა მჭირს, ამ ბოლო წმინდა, აპათიური გავხვი და არაფერი არ მაინტერესებს. არ მაქვს სურვირი, აქმიანებს ვეკონსუალთ ან რამე ვაკეთო. შევამჩნიე, რომ ასეთი რამ, უფრო ხშირად ზამთარში და გაზაფხულში შემართება ხორმი. ეს მგომართობა ძალიან მიშრის ხერს ნორმალურ ცხოვრებაში.**

თუ ერთ დღეს, თქვენ გაიღვიძეთ და გააცნობიერეთ, რომ ცხოვრება უაზრო რამეა, თუ გრძნობთ, რომ ველარაფერს ველარ შეცვლით, რადგანაც მომავალს აზრი არ აქვს და თუ არანაირი ინტერესი აღარ გაქვთ იმის მიმართ, რაც მანამდე სიამოვნებას განიჭებდათ, მაშინ გაანალიზეთ რა გჭირთ. შესაძლებელია, რომ სწორედ დეპრესიასთან გვეკონდეს საქმე. არსებობს ეგრეთწოდებული სეზონური დეპრესიაც, რომელიც წლის კონკრეტულ პერიოდში იჩენს თავს. როგორიცაა - შემოდგომა, ზამთარი და გაზაფხული.

ჩვენ ხშირად ვიყენებთ სიტყვას „დეპრესია“, როდესაც ხასიათზე არ ვართ, მაგრამ დეპრესია, უბრალოდ ცუდ ხასიათზე ყოფნა კი არ არის, არამედ დაავადებაა. მისი ძირითადი სიმპტომებია: ნეგატიური განწყობა, სევდა და დათრგუნულობა, გუნებისა და თვითშეფასების გაუარესება, ცხოვრების ინტერესის დაკარგვა, კონცენტრაციის დაქვეითება, დაბალი თვითშეფასება, ფიქრები თვითმკვლელობაზე, უძილობა.

სანამ ფსიქოანალიტიკოსს წამლის გამოსანერად მიმართავთ, შეეცადეთ, თავად მოაგვაროთ პრობლემა და დაძლიოთ ეს მდგომარეობა:

- გაზარდეთ ძილის ხანგრძლივობა. ძილი საუკეთესო წამალია. როგორც წესი, დეპრესიაში მყოფ ადამიანებს ცოტა სძინავთ და ამით კიდევ უფრო იძძიმებენ მდგომარეობას.
- ეცადეთ, დღი ხნის განმავლობაში არ დარჩეთ მარტო. მეტი დრო გაატარეთ სხვებთან, გაუზიარეთ თქვენი აზრები, თუ გეტირებათ, არ შეიკავოთ ცრემლები.
- ეცადეთ, მეტად გაერთოთ. თქვენი მდგომარეობა უფრო აძძიმდება, თუ სახლში ჩაკეტივით. რაც შეიძლება მეტი დრო გაატარეთ გარეთ. დაკავდით რომელიმე აქტიური სპორტით, გაისეირნეთ, ინახულეთ მეგობრები, იკითხეთ. ნაკლები დრო გაატარეთ ტელევიზორთან.
- ნუ მიიღებთ სერიოზულ გადაწყვეტილებას, ისეთს, როგორიცაა სამსახურის გამოცვლა, განქორწინება და ა.შ. გადადეთ ასეთი ტიპის გადაწყვეტილებები იმ დრომდე, სანამ დეპრესიიდან არ გამოხვალთ და უკეთესად არ იგრძნობთ თავს.
- დაკავდით სპორტით. რეგულარული ფიზიკური დატვირთვა დადებითად მოქმედებს როგორც ფიზიკურ, ისე ფსიქიკურ მდგომარეობაზე.
- ისწავლეთ, იცხოვროთ დღევანდელი დღით. წარსული, როგორც ცუდიც არ უნდა ყოფილიყო, თქვენ ზიანს ველარ მოგაყენებთ, მომავალი კი თქვენს ხელშია.
